

ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა
 სწობილი სწოებითა აპაისსაჲ, რომელსა ეწოდა შიამლოლონი*

სე ღმერთშემოსილი და ნეტარი მამა ჩუენი **სრიგოლი**, რომელსა ეწოდა **შიამლოლონი**, რომელი გამოითარგმანების – *მთხრობელი საღმრთოთა თხრობათაჲ*, იყო ნათესავით მოქალაქე დიდისა ქალაქისა **სრომისაჲ**, შვილი მთავრისა დიდისა და დიდებულისაჲ, რომელსა ეწოდებოდა **სორდიანე**. ღოლო იყო რაჲ ნეტარი **სრიგოლი** ათორმეტისა წლისა, შისცა იგი მამამან მისმან სასწავლელად. შა იყო ყრმასა მას ზედა მადლი იმრთისაჲ და კეთილად ისწავა ყოველივე სწავლად სიბრძნისაჲ და სამოძღურონი ფილოსოფოსთანი. შა აღსავსე რაჲ იყო ყოვლითა სიბრძნითა, იწყო სწავლად სწავლათაცა საეკლესიოთა: შავითსა და სახარებასა, სამოციქულოსა და სანინანარმეტყუელოთა. შა შეიკრიბა ვითარცა ფუტკარმან სიტკბოებაჲ იგი საღმრთოესაცა და კაცობრივისაცა სიბრძნისა გულსა შინა თვსსა, და ყოვლისა პირველად – შიში **აფლისაჲ**, რომელ იგი არს დასაბამი ყოვლისა სიბრძნისაჲ. ღოლო ესეოდენ აქუნდა შიში **აფლისაჲ**, ვიდრელა დღე და ღამე არარაჲ იყო სხუად მისა წურთაჲ, გარნა თუ ვითარ სათნო ეყოს **აფალსა** და მარადის ამას ილოცვიდა: «მაუწყე მე, **აფალო**, გზაჲ, რომელსაცა ვიდოდი», და: «მასწავე მე ყოფად ნებაჲ შენი». ღოლო ვითარცა იქმნა იგი ოცისა წლისაჲ და ეგულებოდა მამასა მისსა შერთვად მისა მეუღლისა, ასულისა დიდთა მთავართაჲსა, ხოლო **სრიგოლის** უძნდა ესე და არა ენება. შიდრელა ამას შინა იყვნეს, მოიწია აღსასრული მამისა მისისა **სორდიანესი**. შა წარვიდა **აფლისა** კაცი მოშიში **აფლისაჲ** და მონყალე გლახაკთაჲ. შაშინ ძემან მისმან **სრიგოლი** დაჰმარხა იგი ჯეროვნად, და ყოველი ნაწილი სიმდიდრისა მისისაჲ მისცა გლახაკთა, და შეწირა ეკლესიათა და მონასტერთა სულისათვს მამისა თვსისა; ხოლო დედასა თვსსა **სილვიას** აზრახა ზრახვად კეთილი, რათა აღირჩიონ

მოქალაქეობაჲ მონაზონებისაჲ და აღასრულონ ბრძანებაჲ უფლისაჲ – აღებაჲ ჯუარი და შედგომად მისსა. სთნდა ესე ნეტარსა მასცა **სილვიას**, დედასა მისსა, და მისცა მას ჯელმნიფებაჲ ყოველსა ზედა სიმდიდრესა მისსა.

2. შაშინ, ვითარცა ბრძენმან ვაჭარმან, ნეტარმან **სრიგოლი** იწყო ყოველივე, რაჲცა აქუნდა, განსყიდად, რათა მოიყიდოს უსასყიდლოდ იგი **შარგალიტი**. ღოლო დედული მონაგები მისი იყო **ჭალაკსა** მას დიდსა **სიკილიას**. წარვიდა მუნ და აღაშენა სოფლები იგი მონასტრად და შემზადა მონასტერი ექუსი. შა შეკრიბნა მონაზონნი და დაადგინნა მამასახლისნი კაცნი სათნონი და სულიერნი და განანესნა თითოეულისა მონასტრისა შესავალნი და წესნი სულიერნი, და წარვიდა **სრომედ** და განსყიდა მამული იგი მონაგები. შა აღაშენა მონასტერი შუენიერი და დაადგინა მამასახლისნი, კაცი ღმერთშემოსილი, და განანესა მონაგებთაგან მამულთა თვსთა ყოველი საჭმარი მუნ შეკრებილთა მათ მონაზონთაჲ და ესრეთ, ნებისაებრ ღმრთისა, განაგო ყოველი საფასე და სიმდიდრე თვსი.

3. ღოლო იგი თავადი არცა ერთსა დადგა მის მიერ აღშენებულთა მონასტერთაგანსა, არამედ შევიდა მორჩილებად მონასტერსა ამას, რომელ არს **სრომს** შინა სახელსა ზედა წმიდისა **წნდრიასსა**, რომელსა ეწოდების **ხლეოსკავრი**. სადა იგი იყო მამაჲ იმერთშემოსილი და ძმანი სულიერნი. შუნ მიიღო მონაზონებისა წესი ნეტარმან **სრიგოლი** და რომელიცა დაშთომილ იყო საფასეთა მისთაგანი, ყოველივე მისცა სულიერსა მას მამასა თვსსა, და იწყო მოღუანებაჲ უზემთაჲს ბუნებისა: მარხვთა ფრიადითა, ლოცვითა სამარადისოთა, მღვდარებითა ანგელოზთა მსგავსითა, სიმდაბლითა საღმრთოთა, მორჩილებითა შეუორგულებელითა, უარყოფითა სრულიად ნებისა თვსისაჲთა; ყოველივე მოღუანებაჲ მონაზონობისაჲ აღასრულა და ყოველი სათ-

* კიმენი, I, რედ. კ. კეკელიძე, ტფ., 1918. გვ. 125-132.

ნოებად სრულებით წარჰმართა და ყოვლითა კეთილისა საქმითა განბრწყინდა.

4. **ჟოლო** შემდგომად ოცისა წლისა მონაზონებისა მისისა აღესრულა მამად იგი მონასტრისად და მოძღუარი მისი. **შაშინ** ღირსმან **5** **წლათონ** პაპმან **სრომისმან** მოუწოდა მონაზონთა მონასტრისათა, რაჲთა გამოირჩიონ მამასახლისი. ხოლო ყოველთა, ვითარცა ერთითა პირითა, ითხოეს ნეტარი იგი **სრიგოლი**. **7** **სე** რად ესმა ღირსსა მას პაპსა, აღივსო სიხარულითა, რამეთუ იგიცა **სრიგოლისთვის** წადიერ იყო. **ჟოლო სრიგოლი** არა თავს-იდებდა, რამეთუ უყუარდა მას ფრად დაყუდებად და უზრუნველობად. **შიუგო** პაპმან და **ჰრქუა** მას: «არა ჯერ-არს, შვილო, თავისა თვისსა განსუენებისა ძიებად, არამედ უმჯობესისა ძმათადასა. **წ** **უკუე** ურჩებისა ბრალსა ნუ შთავარდები, არამედ მორჩილებისა სასყიდელი შეიტკბე». **10** **სე** ვითარითა სიტყვთა და მცნებითა მოდრიკა გული მისი და პირველად მღდელობისა კურთხევად მისცა, და მოვიდა მის ზედა უმეტესად მაღლი **სულისა** **წმიდისა** და ესრეთ აკურთხა იგი წინამძღურად მონასტრისა მის წმიდისა მოციქულისა **წნდრიაფსსა**. **15** **წა** ჰმწყსიდა ძმათა მათ შიშითა ღმრთისადათა და მოძღურებითა მით ჭეშმარიტითა. **ჟოლო** მიეცა მას მაღლი სასწაულთადაცა. **წა** მრავალთა უძღურთა და ბოროტითა სენითა შეპყრობილთა ლოცვითა და გამოსახვითა პატიოსნისა **ჯუარისა**დათა ჰკურნებდა, სულთა არანმიდათა განასხმიდა და შეხებითა ჯელთა მისთადათა მრავალთა ბრმათა თუალნი აღეხილნეს, და მრავალნი ყრუნი და უტყუნი განიკურნეს. **წა** განისმა ჰამბავი სინმიდისა მისისა. **წა** სასწაულთა, მათ რომელთა იქმოდა, არა ხოლო **30** თუ ქუეყანასა **სრომისასა** და **სტალიისასამ**, არამედ ვიდრე სამეუფოდ **ხოსტანტინეს** ქალაქად მიიწია და მეფესა და პატრიაქსა ესმა.

5. **შათ** დღეთა შინა აღდგეს ვინმე **ხოსტანტინეპოლეს**, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ არა აღდგებიანო გუამნი ჩუენნი მერმესა მას აღდგომასა, არამედ რეცა აჩრდილი რაამე გუამთად იხილვებისო და სხუასა მრავალსა ამოებისა სიტყუასა იტყოდეს, ვიდრელა პატრიაქიცა განდრიკეს და მათსავე ამოებისა **40** ზრახვასა მიერჩდა. **წა** იყო შფოთი **სკლესი**ათა. **ს**მა ესე **წლათონ** პაპსა და შეწუნა. **შოუწოდა** ნეტარსა **სრიგოლის** და ევედრა, რაჲთა აღვიდეს **ხოსტანტინეპოლედ** და აუ-

წყოს მეფესა და პატრიაქსა ჭეშმარიტებისა სიტყუა. **ჰეინწყნარა** ღირსმან მან სიხარულით ბრძანებად პაპისად და წარვიდა და მოიკითხნა ძმანი მონასტრისა თვისისანი და ამცნო, ვითარ უწმს ყოფად ვიდრე მოსლვად მისდამდე; და მივიდა ნეტარისა **სილვია**, დედისა თვისისა, რომელი იგი იყოფოდა მახლობელად ბჭისა მის წმიდისა მოციქულისა **სავლესსა** და ყოვლითა ქველისა-საქმითა და სათნოებითა **40** ჰმსახურებდა უფალსა, მისცა მას მშვდობად და მოილო ლოცვად მისი და წარვიდა პაპისა და მიილო კურთხევად მისი და ებისტოლენი მეფისა მიმართ და პატრიაქისა და წარემართა **ხოსტანტინეპოლედ**.

6. **ჟოლო** მრავალნი სასწაულნი და კურნებანი ქმნნა **აფალმან** ნეტარისა **სრიგოლისა** მიერ გზასა მას მისსა და მოიწია რად სამეუფოდ ქალაქად, დიდითა პატივითა შეიწყნარა იგი მეფემან. **წა** მისცა ებისტოლე პაპისად, და წარიკითხნა მეფემან და წარავლინა იგი პატრიაქისა, და მისცა პატრიაქსაცა წიგნი პაპისად და აუწყა მიზეზი მოსლვისა მისისად, ხოლო პატრიაქმან **ჰრქუა** მას: «განავანესოთ დღე და შევკრებთ ერთბამად და გამოვიძიოთ ამის ჯერისათვს». **წა** სრულიად სამისა დღისა შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი, და უწოდა პატრიაქმან ნეტარსა **სრიგოლის** და წარიკითხეს ებისტოლე პაპისად. **წა** იწყეს სიტყუად პატრიაქმან და სხუათა მათ ფილოსოფოსთა **35** მეტყუელთა მათ ამოებისათა. **შაშინ** ნეტარმან **სრიგოლი** აღაღო პირი თვისი და აღივსო იგი მაღლითა **სულისა** **წმიდისა**დათა და იწყოს სიტყუათა საღმრთოთა მეტყუელებად. **წა** განავრძეს სიტყვს-გებად იგი სამ დღე და არა ენება ფილოსოფოსთა-მოძღუარსა მას დარწმუნებად, რაჲთამცა არა გამოჩნდა ძლეულებად მისი. **შრავალლონითა** სიტყვს-გებითა წინააღუდგებოდა წმიდასა მას მამასა და განსდრეკდა ერსა მას და მღდელთ-მოძღუართა. **ჟოლო** მესამესა დღესა, ვითარ იგი **40** ცუდად მეტყუელებდა, სცა მას ანგელოზმან უხილავითა მახვლითა და მყის მოკუდა. **შაშინ** ყოველთა ჯმა ყვეს: «ჭეშმარიტ არიან სიტყუანი გრიგოლისნი». **წა** ჰრწმენა მოძღურებად მისი პატრიაქსა და ყოველთა მღდელთ-მოძღუართა და სიმრავლესა მას ერისასა. **შიწინა** სიტყუად ესე მეფისა და აღივსო იგი სიხარულითა, რომელ იმერთმან გამოაჩინა ჭეშმარიტებად და დიდითა პატივითა და ნიჭითა სამეუფოთა

წარგზავნა ნეტარი **სრიგოლი**, რამეთუ იხილნა მის მიერ მრავალნი სასწაულნი და კურნებანი.

7. **ჟოლო** ვითარცა ღირსი **სრიგოლი** იყო **ჰონსტანტინეპოლედ**, აღესრულა ნეტარი **სლათონ სრომთა** პაპად და დადგა პაპად ღირსი **სელაგიოს**. შიინია რა **სრიგოლი სრომედ**, მიეგება მას პაპად და ყოველნი მღვდელნი და შეიყვანეს სიხარულით. **შა** აუწყა ყოველი, რომელი იქმნა **ჰონსტანტინეპოლეს** და ყოველთავე მადლი მისცეს უფალსა. **ჩარვიდა** ნეტარი **სრიგოლი** თვსსავე მონასტერსა და კუალად ჯელ-ყო მოღუანებასა მასვე დაყუდებისასა. **შა** აქუნდა მას ჯელსაქმარი მწერლობისა და ოდესმე წიგნთა წერნ, ხოლო უმეტესად თავადი გამოიტყვნ და აღსწერნ მოძღურებათა საღმრთოთა, რამეთუ მრავალნი სწავლანი და თარგმანებანი **ჩერილთანი** აღწერნა ნეტარმან მან რომელნიმე, ვიდრელა მონასტერსა იყო, და სხუანი-ოდეს იგი მღვდელთ-მოძღურებისა საყდარსა დაჯდა. **ჟოლო** ყოველთა მათ სათნოებათა მისთა თანა ფრიად მოღუანე იყო გლახაკთ-მოყუარებისა და მოწყალებისათვსცა და ყოვლითა სახითა მოსწრაფე იყო ყოფად წყალობისა ყოველთა ჭირვეულთა და ნაკლულევანთათვს.

8. **შლესა** ერთსა ჯდა რა იგი სენაკსა თვსსა და წერდა, მოვიდა მისსა გლახაკი, ევედრებოდა და ეტყოდა: «შემინყალე მე, მონაო ღმრთისაო. **ჟამეთუ** მენავეთ-მოძღუარი ვიყავ და ნავი დამექცა და წარვწყმიდე თვსიცა საფასე და სხუათაეცა, და ან უღონო ვარ». **ჟოლო** ჭეშმარიტმან მან მონამან **ჩრისტესმან** და მოყუარემან გლახაკთამან მოუწოდა მეჭურჭლესა თვსსა და ჰრქუა: «წარვედ და მიეც გლახაკსა ამას ექუსი დრაჰკანი». **შა** მან ქმნა ბრძანებად მისი და მისცა ექუსი დრაჰკანი. **შოილო** იგი გლახაკმან მან და წარვიდა. **ჰუალად** შემდგომად მცირედისა ჟამისა მასვე დღესა მოვიდა გლახაკი იგი ნეტარისა გრიგოლისა და ჰრქუა: «შემინყალე, მონაო ღმრთისა მალლისაო. **ჟამეთუ** ფრიადი საფასე წარვსწყმიდე და მცირედი მომეც». **ჟოლო** იმერთშემოსილმან მან კუალად მოუწოდა ძმასა მას და ჰრქუა: «წარვედ და მიეც კაცსა ამას სხუად ექუსი დრაჰკანი». **შა** მოილო გლახაკმან მან იგიცა ექუსი დრაჰკანი და წარვიდა. **შა** წარწდა რა მცირედი ჟამი, მასვე დღესა მოვიდა კაცი იგი მესამედ და ჰრქუა ნეტარსა მას: «მონაო ღმრთისაო, შემინყალე და მომეც

სხუადცა ევლოგია. **ჟამეთუ** დიდი დაჭირვება შემემთხვა». **შოუწოდა** წმიდამან მან მესამედ მეჭურჭლესა თვსსა და ჰრქუა: «წარვედ ძმად და მიეც სხუად ექუსი დრაჰკანი». **შოუგო** ძმამან მან და ჰრქუა: «გრწმენი ჩემი, წმიდაო. **წრა** დაშთომილ არს საჭურჭლესა ჩუენსა არცა ერთი დრაჰკანი». **სრქუა** მას ნეტარმან **სრიგოლი**: «მიეც სხუად რაიმე, ანუ ვეცხლის ჭურჭელი, ანუ სამოსელი, რაითა არა წარვიდეს ეგე ცარიელი». **შოუგო** მეჭურჭლემან და ჰრქუა მას: «სხუად ესევეთარი ჭურჭელი არა გუაქუს, წმიდაო მამაო, გარნა ვეცხლისა იგი ლოდაკი, რომელი გუშინ წარმოსცა დედამან შენმან დამბლითა ოსპნითა ჩუეულებისაებრ». **სრქუა** მას ნეტარმან **სრიგოლი**: «წარვედ ძმად და მიეც კაცსა მას ლოდაკი იგი». **ჰმნა** ძმამან მან, ვითარცა უბრძანა. **შა** მიილო გლახაკმან ათორმეტი იგი დრაჰკანი და ვეცხლისა იგი ლოდაკი და წარვიდა და აკურთხა კურთხეული იგი **სრიგოლი** შემსგავსებულად კეთილისა მის გონებისა მისისა.

9. **ჟოლო** შემდგომად რაოდენისამე ჟამისა აღესრულა ღირსი **სელაგიოს სრომისა** პაპად. **შაშინ** იმრთისა მიერ ყოველთა მღვდელთ-მოძღუართა და მთავართა და ყოვლისავე ერისა გონებანი და ზრახვანი ერთ იქმნეს, რაითა **სრიგოლი** დაადგინონ პაპად. **ვგრეთვე** მეფესა ესმა ესე და მიუწერა წიგნი **სრომედ**, რაითა არავინ დაჯდეს სხუად საყდარსა მას **სეტრე** მოციქულისასა გარნა **სრიგოლი**. **ვგრეთვე** პატრიარქმან **ჰონსტანტინეპოლელმან** დაწერა. **შაშინ** შეკრბეს მღვდელთ-მოძღუარნი **სრომაელნი** და მოუწოდეს ნეტარსა **სრიგოლის** და გამოუცხადეს განზრახვა მათი და ბრძანებად მეფისა და წამებად პატრიარქისა. **ჟოლო** **სრიგოლი** იჯმნა საქმისა მისგან და მიზეზ-ყო უღირსებად სულიერი და უძღურებად ხორციელი, რამეთუ ნანდვლვე ფრიადისა მარხვისაგან და მოღუანებისა დაწსნილ იყო სტომაქი მისი, და დიდისა ზედგომისაგან ლოცვათა შინა ვნებულ იყვნეს ფერწნი მისნი. **სრქუეს** მას მღვდელთ-მოძღუართა და დიდებულთა მათ მთავართა: «ჩუენ, მამაო, აღთქუმა გვქმნიეს, რაითა გარეშე შენისა სინმიდისა არავინ ვაკურთხოთ. **წნ** უკუე გაფუცებთ **ოფალსა**, შრომასა ნუ შეგუამთხუევ». **წრა** ერჩდა ნეტარი იგი, არამედ დროებად ითხოვა, რაითა ევედროს **ოფალსა**. **ჟოლო** ჩუენებასა ღამისასა იხილა წმიდა მოციქული **სეტრე**, რომელი იგი ეტყო-

და, მას: «**სრიგოლი, სრიგოლი**, ნუ ურჩ ხარ, არამედ მიითუალე სამწყსოვ ესე. **შა** მწყსიდი ცხოვართა მათ პირმეტყუელთა, რამეთუ მეცა ეგრეთ მიბრძანა უფალმან: „**სეტრე**, უკუეთუ გიყუარ **შე**, **შწყსიდი** ცხოვართა მათ ხემთა“». **შე** რად იხილა ნეტარმან **სრიგოლი**, განთიად კუალად მოვიდეს მღდელთ-მოძღუარნი და აიძულებდეს მას. **შა**შინ წარვიდა მწუხარებით და სულთქუმით, და აკურთხეს იგი წესისაებრ განგებულებისა და დასუეს საყდარსა მას მოციქულთა თავისასა. **შე**ყსეულად ნათელი ბრწყინვალე მოეფინა მას ზეგარდამო, და ყოველთა მადლი მისცეს **ოფალსა**. **შა** იქმნა სიხარული დიდი ქალაქსა მას შინა და ყოველსა მას ქუეყანასა. **შა** ამიერიტგან ჰმწყსიდა იმერთ-შემოსილი იგი ერსა მას ვითარცა ჭეშმარიტი და კეთილი მწყემსი: უძღურთა ჰკურნებდა, გლახაკთა ილუწიდა, ჭირვეულთა ნუგეშინის სცემდა, შეცთომილთა მოაქცევდა, წარწყმედილთა ეძიებდა, დაცემულთა აღადგინებდა, უწესოთა სწავლითა მით სულიერითა წესიერ ჰყოფდა; ყოვლით-კერძო ჭეშმარიტსა მას მწყემსთ-მთავარსა **ჩრისტესა** სათნო ეყოფოდა და იყო მოქალაქობად მისი მობაძავ ანგელოზთა.

10. **ჟოლო** არს წესი პატრიაქთა **სრომისათა**, რაათა მარად დღე ათორმეტი გლახაკი ჭამდეს ტაბლასა მისსა. **შა** ამას წესსა უმეტეს ყოველთასა წადიერებითა აღასრულებდა დიდი ესე **სრიგოლი**. **შა** აქუნდა საქმე ესე საკელარსა მისსა, რომელმანცა მოუწოდის დღითი-დღედ ათორმეტთა გლახაკთა. **ჟოლო** დღესა ერთსა მოუწოდა ჩუეულებისაებრ ათორმეტთა გლახაკთა და დასხდეს ნეტარისა **სრიგოლის** თანა ტაბლასა მისსა. **შა** იპოვნეს ათცამეტნი გლახაკნი იგი. **შოუწოდა** ღირსმან მან პაპმან საკელარსა თვსსა და ჰრქუა: «ვითარ თვნიერ სიტყვსა ჩემისა ათცამეტნი გლახაკნი შემოგიყვანიან?» **ჟოლო** საკელარი შეძრწუნდა და ჰრქუა მას: «გრწმენინ წმიდაო მეუფეო, ათორმეტნი არიან». **ჩამეთუ** მეთატცამეტესა მას არავინ ხედვიდა, გარნა ხოლო ნეტარი **სრიგოლი**. **შა** ვითარ იგი სხდეს ტაბლასა, განიცდიდა პაპად მეთატცამეტესა მას, რომელი ჯდა კიდესა სკამისასა. **შა** აჰა ესერა იცვალეობდა ხატი პირისა მისისა: ოდესმე მცცოვანი ჩანნ და ოდესმე ჭაბუკი. **ჟოლო** აღდგეს რად ტაბლისაგან, სხუანი წარგზავნა ქველის-საქმითა, ხოლო მეთატცამეტე

იგი, რომელი ესრეთ საკვრველად ეჩუენებოდა, დაიყენა და შეიყვანა სენაკად თვსად და ჰრქუა: «გაფიცებ ძალსა იმრთისასა, მითხარ ვინ ხარ შენ, ანუ რად არს სახელი შენი?» **შოუგო** მან და ჰრქუა მას: «რასა იკითხავ სახელსა ჩემსა და იგი არს საკვრველ, გარნა მე ვარ გლახაკი იგი, რომელი მოვედ შენდა მონასტერსა წმიდისა **წნდრიაფსსა**, ოდეს შვედ სენაკსა შენსა და წერდი და მომეც ათორმეტი დრაჰკანი და ვეცხლისა ლოდაკი, რომელი წარმოეცა დედასა შენსა დამბლითა ოსპნითა. **შა** უწყოდე, რომელ ამიერ დღითგან, ოდეს ესრე სულგრძელებით და გულითა მარტივითა მიღუანე, ბრძანა **ოფალმან** დადგინებად შენდა მღდელთ-მოძღურად **სკლესიისა** **ძე**სისა, რომლისათვს პატიოსანი სისხლი **ძესი** დასთხია, და დაჯდომად შენდა საყდარსა **სეტრესსა**, **ძავისა** მის მოციქულთაჲსა, რომლისაცა სათნოებასა მიემსგავსე. რამეთუ ეგრეთ განუყოფდა იგი მონაგებთა მათ, რომელთა მთარმევედეს მას მორწმუნენი და მისცემდა უშურელად ვითარცა ვის უწმნ». **სრქუა** მას ნეტარმან **სრიგოლი**: «ვინაჲ უწყი შენ, ვითარმედ უფალმან ბრძანა დადგინებად ჩემდა მღდელთ-მოძღურად?» მიუგო მან და ჰრქუა: «მე ანგელოზი ვარ ყოვლისა-მპყრობელისა იმრთისაჲ და ამისთვს უწყი, რამეთუ მაშინაცა უფალმან მომავლინა გამოცდად გონებისა შენისა, რაათა გამოჩნდეს, ვითარმედ კაცთ-მოყუარებით და არა მაჩუენებლობით იქმ მოწყალებასა». **შმა** რად ესე **სრიგოლის**, ვითარმედ ანგელოზი არს, შეშინდა, რამეთუ არა ეხილვა ანგელოზი, არამედ ვითარცა კაცსა ეუბნებოდა მას. **ჟოლო** ანგელოზმან მან ჰრქუა მას: «ნუ გეშინინ, აჰა ესერა მომავლინა **ოფალმან**, რაათა შენ თანა ვიყო მარადის, ვიდრე ხარ შენ სოფელსა ამას შინა. **წნ** უკუე რადცა გაქუნდეს სათხოველი იმრთისაგან, ჩემ მიერ აუწყე **ოფალსა**».

11. **ჟოლო** ნეტარსა მას ესმნეს რად სიტყუანი ესე, დავარდა პირსა ზედა და თაყუანის-სცა **ოფალსა** და თქუა: «უკუეთუ მცირედისა ამის და არარაჲსა გულს-მოდგინებისათვს ესოდენი სიმრავლე წყალობისა აჩუენა ჩემ ზედა სახიერმან იმერთმან, ვიდრელა ანგელოზი **ძესი** მოავლინა ყოფად ჩემ თანა, ვითარსა-მე დიდებასა მიმთხუევად არიან, რომელნი აღასრულებენ მცნებათა მისთა და იქმან სიმართლესა და მრავალსა მოწყალებასა, რომელთაცა ბრძანა

აფალმან დადგომად მარჯუენით მისსა და სმენად ჳმასა მას სანატრელსა: „მოვედით, კურთხეულნო შამისა იემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთვს სასუფეველი“ (მთ. 25, 34) და შემდგომი ამისი». **ჰოლო** მიერ დლითგან იყო ანგელოზი იგი მარადის ნეტარისა **სრიგოლის** თანა და ზედაჲს-ზედა გამოეცხადებინა მას, უმეტესად, ოდეს წარდგის წმიდასა ჟამის-წირვასა, მეყსეულად წმიდაჲ იგი ანგელოზი წარმოუდგის მას და მის თანა დგან ვიდრე აღსრულებადმდე ჟამის-წირვისა და **სრიგოლის** თუალნი ხოლო ხედვიდიან მას, ვითარცა თავად აუწყა საყუარელსა მას მისსა **სეტრეს** მთავარდიაკონსა, კაცსა საღმრთოსა და ყოვლითა სათნოებითა შემკობილსა. **ჰოლო** დიდი კადნიერებაჲ მოეცა ღირსსა და წმიდასა **სრიგოლის** წინაშე იმრთისა, და რაჲცა ითხოვის უფლისაგან სასწაულისა საქმე, მყის ისმინოს უფალმან მისი, ვითარცა აღუთქუა მას წმიდამან მან ანგელოზმან, ვიდრელა იქმნა საქმე ესევეთარი.

12. შივიდოდა ოდესმე დიდი ესე **სრიგოლი** სხუად სოფლად საქმისათვს საეკლესიოჲსა. **შა** იქმნა სლვაჲ მისი გზასა მას, რომელი ექმნა **პრაიანოს** მეფესა, ჴოველი მარმარილოთა დასხმული. **შა** იყო იგი მოგზაურთა განსასუენებელ და უმეცარნი არა მოსცთებოდეს. **შილა** რაჲ ნეტარმან მან გზაჲ იგი, სთნდა საქმე მეფისაჲ მის. **შა** დადგა ლოცვად და შეწირა მჭურვალე ვედრებაჲ იმრთისა, რაჲთა იჴსნეს სატანჯველთაგან საუკუნეთა სული **პრაიანესი**, ხოლო იყო მეფე იგი კერპთ-მსახური და უღმრთოჲ. **შა** ვითარცა განაგრძო ლოცვაჲ მჭურვალე, ესმა ხეცით ჳმაჲ ესევეთარი: «**ჰევისმინე** ვედრებაჲ შენი, და ვიჴსნე სული **პრაიანესი** სატანჯველთაგან, ხოლო შენ ნულარა შესძინებ უმჯულოთათვს ვედრებაჲ **იემდა**». **შმისა** შემდგომად წმიდაჲცა იგი ანგელოზი წარმოუდგა და ჰრქუა: «აჰა ესერა ვედრებაჲ შენი ისმინა **აფალმან**, გარნა ნულარა იქმ ესრეთ, რაჲთა უღმრთოთა და კერპთ-მსახურთათვს ევედრებოდე **აფალსა**». საცნაურ არს უკუე ამის საქმისაგან, თუ რაჲბამი კადნიერებაჲ აქუნდა მას წინაშე ღმრთისა. **ჰოლო** სასწაულთა, რომელთა იქმოდა, უკუეთუ თითოეულად აღვსწერდეთ, ფრიადი სიმრავლე წერილთა იქმნას, რამეთუ არავინ შეპყრობილი სენისაგან ბოროტისა მოვიდა მისა სარწმუნოებით და არამცა განკურნებუ-

ლი მიიქცა სახედ თვსად და ჳმადლობდა ღმერთსა.

13. **ჰოლო** მათ ჟამთა შინა მკვდრნი იგი **სრეტანია** ჭალაკისანი კერპთ-მსახურებისა საცთურითა შეპყრობილ იყვნეს. **შა** არს ჭალაკი იგი უდიდეს ყოველთა ჭალაკთა და მკვდრ იყო მუნ ერი აურაცხელი და კაცნი ჰაეროვანნი. **შა** მწუხარე იყო ნეტარი **სრიგოლი** წარწყმედისათვს ესოდენისა მის ერისა. **შაშინ** ევედრა **აფალსა**, რაჲთა წარუმართოს მოქცევად მათდა. წარმოუდგა მას ანგელოზი იგი იმრთისაჲ და ჰრქუა: «ესეცა ლოცვაჲ შენი ისმინა **აფალმან**. წარავლინენ მუნ კაცნი მეცნიერნი და მოაქცინენ იგინი. **შაშინ** ნეტარი იგი აღივსო სიხარულითა, და გამოარჩინა ოთხნი მონაზონნი, სავესენი მადლითა: **მევედორე, სნდრია, სავლე** და **სლევთერი**. **მევედორე** აკურთხა ეპისკოპოსად და **სნდრია** ხუცად, **სავლე** და **სლევთერი** დიაკონად, და წარავლინნა იგინი **სრეტანიად**, შეჭურვილნი ლოცვითა მისითა. **ჰოლო** მიიწინეს რაჲ იგინი ჭალაკსა, შეწევნითა იმრთისაჲთა და ლოცვითა დიდისა **სრიგოლისითა**, მცირედსა ჟამსა ყოველი იგი ერი და მეფე მის ჭალაკისაჲ და მთავარნი მოაქცინეს იმრთისა და ნეთელსცეს სახელითა **შამისაჲთა** და **ჰისაჲთა** და **სულისა** **წმიდისაჲთა**. საკერპონი დაამჯუნეს და ეკლესიანი აღაშენნეს. **შა** ყოველი წესი ჴრისტეანობისაჲ ასწავეს. **სმა** ესე ნეტარსა **სრიგოლის** და აღიპყრნა ჴელნი და მჭურვალითა ცრემლითა მადლი მისცა **აფალსა**. **შა** ზედაჲს-ზედა მიუწერდა ეპისტოლეთა ერსა მას **ვრეტანელთასა**, სავესეთა სწავლითა სულიერითა. **შა** მათგანნი დლითი-დღედ მოვიდოდეს **სრომედ** მოკითხვად სულიერისა მის მამისა მათისა.

14. **სრეთ** ღირს იქმნა ნეტარი **სრიგოლი** მადლსა მოციქულობისასა. **შა** ერნი აურაცხელნი მოსტაცნა ეშმაკსა და შეანყნარნა ჴრისტესა. **შა** სხუად მრავალი საქმე კეთილი და საღმრთოჲ აღასრულა იმერთშემოსილმან მან. **შა** წიგნნი მრავალნი აღწერნა და ყოვლით-კერძო შეამკო **სკლესიაჲ** **სრომისაჲ**. **შა** ყოველსა სოფელსა განჰჳდა ჳამბავი სათნოებათა მისთაჲ, რამეთუ არა კაცობრივითა ხოლო სწავლულებითა და სიბრძნითა იყო გამოთქუმაჲ და აღწერაჲ მისი წიგნთაჲ, არამედ მადლი **სულისა** **წმიდისაჲ** მოსცემდა სიტყუასა, ვითარცა გვთხრა **სეტრე**, მთავარდიაკონმან მისმან. **შა** იყო იგი კაცი ჭეშმარიტი და

იმრთის-მოყუარე. ოცნება იგი, ვითარმედ
 ოდეს იგი წერნ წმიდა მამად ჩუენი **სრიგო-**
ლი, გინა თუ სწავლასა გინა თუ თარგმანე-
 ბასა წერილთასა, ვხედვედ განცხადებულად
 ტრედსა სპეტაკსა, რომელი ფრინავნ წინაშე
 პირსა მისსა, ვიდრე ფრთანი მისნი პირსა
 მისსა ეცემოდინ და ჳელთა მისთა ზედა და
 წერილსა მას ზედა იქცევენ. **ო**ითარმცა იგი
 თავადი სრულ ჳყოფნ და განაგებნ წერილ-
 სა მას, საცნაურ არს უკუე, ვითარმედ მად-
 ლი სულისა **ქ**მიდისა იხილვებოდა სახითა
 ტრედისადა და განანათლებდა ნეტარსა მას.
ქოლო ამას ესევეთარსა საღმრთოსა მოქა-
 ლაქობასა შინა აღასრულნა ნეტარმან მან
 ჟამნი მრავალნი და იქმნა იგი მოხუცებულ
 და სავსე დღითა კეთილითა. **შ**ა მოაქცინა ნა-
 თესავნიცა იგი **საქსონთანი** იმრთისა და იქს-
 ნა იგინი კერპთ-მსახურებისაგან, ერი ფრიად
 დიდი და სწორი **ვრეტანიელთანი**, და ჰმად-

ლობდა ღმერთსა.

15. **შ**ამინ მოვიდა მისა წმიდა იგი ანგ-
 ელოზი და აუწყა წოდება მისი. **შ**ა განაგო
 ყოველივე საქმე **ს**კლესიისა კეთილად და
 ვითარცა იმერთსა სთნდა. **შ**ა მცირედ და-
 სნეულდა და წარვიდა **აფლისა** სახელით წი-
 ნამძღურობითა ანგელოზთადათა, რომელნი
 იგი ამასვე სოფელსა მის თანა იქცეოდეს.
ქოლო იყო აღსრულებად მისი თუესა მარტსა
 ათორმეტსა. **შ**ა იგლოვა იგი ყოველმან ერმან
სრომისამან. **შ**ა დაჰმარხეს იგი ეკლესიასა
 შინა წმიდისა მოციქულისა **სეტრესსა**. **ქ**ოლო
 მრავალნი სასწაულნი იქმნეს სამარხოსაცა
 მისსა და აქამომდე იქმნებიან მადლითა და
 კაცთ-მოყუარებითა **აფლისა** ჩვენისა **ს**ესუ
ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტ-
 კიცე თანა **შ**ამით და სულით **ქ**მიდითურთ, აწ
 და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

